საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/265 „8" ოქტომბერი 2018 წ.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

„საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთათვის თანამდებობრივ სარგოზე დანამატის განსაზღვრისა და საცხოვრებელი ფართობით უზრუნველყოფის ხარჯების ანაზღაურების წესის შესახებ" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 5 თებერვლის №1/89 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

1. „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთათვის თანამდებობრივ სარგოზე დანამატის განსაზღვრისა და საცხოვრებელი ფართობით უზრუნველყოფის ხარჯების ანაზღაურების წესის შესახებ" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 5 თებერვლის №1/89 გადაწყვეტილებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და მე-5 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 5^1 პუნქტი:

„5^1. მოსამართლეს, „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 23-ე მუხლის მე-7 პუნქტის, 25-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 26-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 32-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და 33-ე მუხლის საფუძველზე რაიონული (საქალაქო)/სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის/თავმჯდომარის მოადგილის/სასამართლო კოლეგიის/პალატის თავმჯდომარის მოვალეობის შესრულებისას, მოქმედ ყოველთვიურ დანამატთან ერთად ეძლევა დანამატი შესაბამისი სასამართლოს მოსამართლისა და სასამართლოს თავმჯდომარის/თავმჯდომარის მოადგილის/სასამართლო კოლეგიის/პალატის თავმჯდომარის შრომის ანაზღაურების ოდენობებს შორის სხვაობის ოდენობით, ნამუშევარი პერიოდის გათვალისწინებით. აღნიშნული დანამატის გაცემის საფუძველია, შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება, სასამართლოს თავმჯდომარის ბრძანება ან სასამართლოს წერილობითი შეტყობინება სასამართლოს თავმჯდომარის/თავმჯდომარის მოადგილის/სასამართლო კოლეგიის/პალატის თავმჯდომარის მოვალეობის შესრულების თაობაზე.".

2. ეს გადაწყვეტილება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი